

უმაღლესი სასწავლო დაწესებულების მართვის ავტომატიზაციული სისტემა

თინათინ კაიშაური, ქეთევან დათუკიშვილი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

რეზუმე

განხილულია უმაღლესი სასწავლო დაწესებულების მრავალპროფილიანი საქმიანობა, ორგანიზაციული მართვის სისტემა და მის ბაზაზე აგებული მართვის ავტომატიზებული სისტემა. მოცემულია ამ სისტემის ფუნქციონირების სქემა.

საკანონო სიტყვები: უმაღლესის სასწავლო დაწესებულება (უსდ), მართვის ავტომატიზებული სისტემა.

1. შესავალი

თანამედროვე საზოგადოებაში განათლება გახდა ერთ-ერთი ყველაზე მთავარი სფერო ადამიანის საქმიანობის. მნიშვნელოვნად გაიზარდა განათლების სოციალური როლი. უკანასკნელი ათწლეულის განმავლობაში მსოფლიოში შეიცვალა დამოკიდებულება ყველა სახის, განსაკუთრებით კი უმაღლესი განათლების მიმართ. ის განიხილება სოციალური და ეკონომიკური პროგრესის ძირითად ფაქტორად. შესაბამისად აუცილებელი გახდა უმაღლესი განათლების სისტემის მოდერნიზაცია, რომლის მთავარი მიზანია განათლების სისტემის მდგრადი განვითარების მექანიზმის შექმნა. მთავარ მიმართულებას წარმოადგენს განათლების სისტემის მართვის მოდელის მოდერნიზაცია, სადაც ნათლად იქნება განაწილებული და შეთანხმებული განათლების პოლიტიკის მონაწილე ყველა დაინტერესებული პირის კომპეტენცია და უფლებამოსილება, ფუნქციები და მოვალეობები, რომლებიც უზრუნველყოფს ეფექტურ მნეჯმენტს. კომპიუტერული ტექნოლოგიების სწრაფმა განვითარებამ გამოიწვია ინფორმაციული ტექნოლოგიების შექმნა საზოგადოებრივი საქმიანობის ყველა სფეროში, მათ შორის უმაღლესი სასწავლო დაწესებულების სისტემაში. უმაღლესი სასწავლო დაწესებულება (უსდ) წარმოადგენს მართვისთვის რთულ ობიექტს. ის აერთიანებს სასწავლო, სამეცნიერო, აღმზრედლობითი, პკლევითი და საწარმოო პროცესების მართვას. შესაბამისად მართვის ერთანი სისტემის შექმნა ინფორმაციული ტექნოლოგიების საფუძველზე წარმოადგენს რთულ ამოცანას, რომელიც თხოვს ორგანიზაციული და ტექნიკური მრავალი ამოცანის გადაწყვეტას.

2. ძირითადი ნაწილი

ერთან კომპიუტერული სისტემა გულისხმობს ინფორმაციული ტექნოლოგიების დანერგვას უსდ საქმიანობის ყველა სფეროში ერთანი ინფორმაციული გარემოს შესაქმნელად.

ამისათვის საჭიროა შემდეგი ამოცანების გადაჭრა:

1. ლოგიკური ქსელის შექმნა, რომელსაც ექნება წვდომა გლობალურ ქსელთან. სერვერის განთავსება ისე, რომ შესაძლებელი გახდეს ინფორმაციული რესურსების ცენტრალიზებული წვდომა და მონაცემების შენახვა. აუდიტორიების, ლექტორების და უსდ თანამშომლების სამუშაო ადგილების კომპიუტერული და სხვადასხვა ტექნიკური მოწყობილობებით აღჭურვა;

2. მართვის ავტომატიზაცია, რაც გულისხმობს უსდ ქვედანაყოფების შიდა კომუნიკაციისა და დოკუმენტბრუნვის ავტომატიზაციას;


3. სასწავლო პროცესის ავტომატიზაცია, რაც გულისხმობს ერთანი ინფორმაციული გარემოს შექმნას, რომელიც ხელმისაწვდომი იქნება, როგორც სტუდენტებისთვის ისე ლექტორებისთვის.

უმაღლესი სასწავლო დაწესებულების საქმიანობის ავტომატიზაციაში გამოვყოფთ სტუდენტის, ლექტორის და ადმინისტრაციის მიმართულებას (**Error! Reference source not found.**).

აბიტურიენტი რეგისტრირდება უსდ სისტემაში, სადაც მას მიერჩება მომხმარებლის სახელი და პაროლი. ამ სახელით და პაროლით ის ავსებს აპლიკაციის ფორმას, სადაც განთავსებულია ისეთი


ინფორმაცია, როგორიცაა: სახელი, გვარი, მამის სახელი, დაბადების თარიღი, სქესი, პირადი ნომერი, ეროვნება, მისამართი, სურათი და ა.შ. ეს ფორმა ოდნავ განსხვავებული იქნება მაგისტრატურაში და დოქტორანტურაში ჩაბარების შეურველთაოვის, სადაც იქნება დამატებული ისეთი ველები, როგორიცაა: სამუშაო გამოცდილება, გამოქვეყნებული სტატიები და ნაშრომები, მიღებული სერთიანგატები, სახელობითი სტაბენდიგი, ჯილდოები, ხარისხები და ა.შ.

ადმინისტრაცია ეძებს აბიტურიენტს მის სასწავლებელში ჩარიცხული სტუდენტების სიაში და დამთხვევის შემთხვევაში



აბიტურიენტი გადმოყავს სტუდენტის ბაზაში თავისი მომხმარებლის სახელით და პაროლით (რომლის შეცვლაც სტუდენტს შეეძლება) და ანიჭებს მას უნიკალურ კოდს და E-mail-ს. გარდა ამისა ბაკალავრის დონეზე სტუდენტის მშობლისთვისაც იქმნება სისტემაში შესასვლელი მომხმარებლის სახელი და პაროლი. ამის შემდეგ სტუდენტისთვის იქმნება საკუთარი გარემო სადაც მას შეუძლია (**Error! Reference source not found.**).

1. დარეგისტრირდეს მისი სწავლების საუკუნისთვის განკუთვნილ საგნებზე, სადაც მას შეეძლება ღერეტორის, ღერეტის დღის და საათის არჩევა, გარდა ამისა, მას შეეძლება ნახოს იმ საგნის მოქლე აღწერა, რომელზეც რეგისტრირდება. როს შემდეგაც სტუდენტი ბეჭდავს სემესტრულ ხელშეკრულებას და ამის შემდეგ მისი ინფორმაცია თავსდება ნიშნების და ფინანსურ ბაზაში. ეს იძლევა იმის საშუალებას, რომ მან შეამოწმოს თავისი გადახდილი თანხები და ნიშნები დროის ნებისმიერ მონაკვეთში. ამ ინფორმაციაზე (ნიშნებზე, გადახდებზე) ხელი მოუწვდება აგრეთვე ბაკალავრის სტუდენტის მშობელსაც თავისი მომხმარებლის სახელით და პაროლით;
2. სტუდენტს და მშობელს შეუძლიათ ნახონ აგრეთვე ღერეტის აღრიცხვა;
3. სტუდენტს ეძლევა საშუალება შევსოს ინფორმაცია თავისი უნარების (ენები, კომპიუტერული პროგრამები), უსდ მიღებული ცოდნის და მისი სამუშაო გამოცდილების (თუ მას ეს გამოცდილება აქვს) შესახებ. შესაბამისად, ამ ინფორმაციის და მისი აკადემიური მოსწრების მიხედვით უნივერსიტეტი ცდილობს დაასაქმოს სტუდენტი. ეს გრძელდება მას შემდეგაც. როცა სტუდენტი ამთავრებს უსდ. გარდა ამისა ღერეტორი თავისი გვერდიდან შეუძლია შეაფასოს მისთვის წარმატებული სტუდენტი. ორივე ინფორმაცია შეიძლება განთავსდეს ნახვა და უსდ ადმინისტრაციასთან შეთანხმებით სტუდენტთან დაკავშირება (**Error! Reference source not found.**).





უსდ web გვერდზე, სადაც სხვადასხვა კომპანიებს შეეძლებათ ნახვა და უსდ ადმინისტრაციასთან შეთანხმებით სტუდენტთან დაკავშირება (**Error! Reference source not found.**).

როგორც სტუდენტი, ასევე ღერეტორიც, რეგისტრირდება უსდ სისტემაში, სადაც მას ეძლევა მომხმარებლის სახელი და პაროლი. ამ სახელით და პაროლით მას შეუძლია შეავსოს უსდ ადმინისტრაციის მიერ შეთავაზებული ფორმა, სადაც იქნება მისი პერსონალური მონაცემები, სამუშაო გამოცდილება და აკადემიური მიღწევები (**Error! Reference source not found.**).

ღერეტორს თავის გარემოში შეუძლია (**Error! Reference source not found.**):

1. პირადი მონაცემების ნახვა (რომელიც მან შეავსო) და ცვლილების შეტანა;
2. ატვირთოს სილაბუსი, რომლის ნახვაც შეეძლებათ მის საგანზე დარეგისტრირებულ სტუდენტებს. გარდა ამისა, ღერეტორი ვალდებულია შეავსოს სპეციალური ფორმა, რომელშიც იქნება მითითებული შეფასების ფორმები: კურსის განმავლობაში რამდენი და რა ფორმის (ზეპირი, წერითი) შუალედური შეფასება ჩატარდება და თითოეული შეფასების ხელითი წილი საბოლოო შეფასებისათვის. ეს ფორმა საშუალებას მისცემს ადმინისტრაციას შეიყვანოს სტუდენტის შუალედური და საბოლოო ნიშნები;
3. დაათვალიეროს და დაბეჭდოს თავისი ღერეტის განრიგი;



4. გაიგოს საგანზე დარეგისტრირებული სტუდენტების რაოდენობა, ვინაობა და დაბეჭდოს სია;
5. საგანზე დარეგისტრირებულ სტუდენტთან კავშირი ელ-ფოსტით;
6. ლექციაზე სტუდენტთა დასწრების ონლაინ-აღრიცხვა;
7. სტუდენტის შეფასება.

უსდ ადმინსტრაციის საქმიანობის ავტომატიზაციისას გამოვყოფთ შემდეგ ფუნქციებს (**Error!**

Reference source not found.):

1. სტუდენტთა პირადი მონაცემების მართვა;
2. სტუდენტის უსდ გადაადგილებაზე ბრძანებების გაფორმება (მიღება, კურსიდან კურსზე გადასვლა, აკადემიური შეცვლება, გარიცხვა, დამთავრება და ა.შ.);
3. სტუდენტთან გაფორმებული ხელშეკრულებების კონტროლი;
4. სტუდენტთა გადახდების კონტროლი;
5. სტუდენტთა ლექციაზე დასწრების აღრიცხვის ონლაინ-რეჟიმის მომზადება და კონტროლი. ლექციის ჩატარების დღის და ლექციაზე დარეგისტრირებული სუდენტების სიის გაერთიანებით იქმნება ლექციაზე დასწრების აღრიცხვის ბადე, სადაც ლექტორს უფლება აქვს შეასოს მხოლოდ იმ დღის ინფორმაცია, რომელ დღესაც ტარდება ლექცია, ამავე დროს ფიქსირდება აღრიცხვის ჩატარების დრო და იმ კომპიუტერის IP მისამართი საიდანაც მოხდა აღრიცხვა. აღრიცხვა უნდა ჩატრადეს ლექციის დასაწყისში და ბოლოს. თუ რაიმე მიზეზებით ლექცია არ ტარდება, ადმინისტრაციის დახმარებით ლექციის ჩატარების დღე იცვლება ლექციის აღდგენის დღით;
6. სტუდენტთა მიმდინარე ნიშნების შეტანის და საბოლოო ნიშნების დათვლის სისტემის ავტომატიზაცია;
7. სასწავლო პროგრამის მომზადების ავტომატიზაცია (თითოეულ საგანს ენიჭება უნიკალური კოდი, დასახელება, კრედიტი, ხდება საგანის აღწერა, და მისი წინარეკვიზიტის დადგენა. ეს ინფორმაცია ინახება ბაზაში (ამ ინფორმაციის ნახულობს სტუდენტი საგანზე რეგისტრაციის დროს)).
8. სასწავლო განრიგის მართვა:
 - 1) აუდიტორიების და სასწავლო-დაბორატორიების ფონდის აღრიცხვა;
 - 2) ლექციების განრიგის შედგენა;
 - 3) აუდიტორიული ფონდის ოპტიმალური განაწილების რეგულირება;
 - 4) საგამოცდო სესიების განრიგის შედგენა და აუდიტორიული ფონდის გადანაწილება;
 - 5) პროფესორ-მასწავლებლების სასწავლო დატვირთვის საბუღალტრო დაანგარიშება (ამ ინფორმაციის ნახვა შეეძლება თითოეულ ლექტორს თავის გვერდზე);
9. სტუდენტთა მომზადების ხარისხის კონტროლი (ნიშნების ანალიზი)

3. დასკვნა

განხილულია უმაღლესი სასწავლო დაწესებულების მრავალპროფილიანი საქმიანობის ავტომატიზაციის მხოლოდ ნაწილი, რაც საკმაოდ რთული და შრომატევადი პროცესია. შემუშავებულია სისტემის ფუნქციონალობის სექმა.ასეთი სისტემების მიმართ მთავარი მოთხოვნაა მუშაობის საიმედოობა, ინფორმაციის დამუშავების სისტრაფე და ინფორმაციის შენახვის უსაფრთხოება. მათი კომპლექსური კვლევა მეტად მნიშვნელოვანია.

ლიტერატურა:

1. ჩოგოვაძე გ., გოგოჩაიშვილი გ., სურგულაძე გ., შეროზია თ., შონია ო. მართვის ავტომატიზებული სისტემების დაპროექტება და აგება. სტუ, თბ., 2001

2.

, 12.02.2011. <http://vlad.allfound.ru/?q=node/139>.

..

MANAGEMENT INFORMATION SYSTEM THE HIGHER EDUCATIONAL INSTITUTION

Kaishauri Tinatin, Datukishvili Ketevan
Georgian Technical University

Summary

The represented paper discusses the versatile activity of a higher educational institution and its organizational management system. On the bases of this analysis the automated control system was constructed. In the article there is offered the functional chart of this system.